

olp K 17964  
1a

# გერმანელი დოკტორი იაკობ რეინგესი

მუხა გრიცელის ქართველ რესთაგან კომისარი  
და მინისტრათ დანიშნული საქართველოში

ჭ. ვიჰინაძისა

ვასი 5 მან.



სტამბა ამ. „შრომა“, პლეხანოვის ვრცელებელი, № 67.  
1920

# გერმანელი ჩოკტორ იაკობ რეინგესი

მეფე ერეკლეს უარზეწილისთავან კომისრათ  
და მინისტრათ დანიშნული საქართველოში.

ზ. ჭიჭინაძისა

~~17964~~  
~~19~~  
~~ა. ა. ა.~~

ვასი ა. გან.



ტფილისი.

სტამბა ამხ. „შრომა“, პლეხანოვის პროცესის 67.

1920



# დოკუმენტი იაპოზ რეინგასი

საქართველოში ისტორიულად დასაბუთებულია, რომ ევროპიელებმა, ერთ დროს, საქართველო სათანადო ჰატივისცემით გაიცნეს. უფრო კი რომის ტახტმა საქართველოსადმი დიდი ლმობიერება გამოიჩინა. ამ კეთილს განწყობილებას აქვს დიდი ისტორიული ღირსება. ამ გარემოების საფუძვლად დავასახელებთ მხოლოდ სამ ისტორიულ ამბავს, ესეც საკმარისია მის საფუძვლად, რომ ვიცოდეთ რომის დიდი ყურადღების მნიშვნელობა.

ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილის დახმარებით და თაოსნობით, რომის ტახტმა ქართული სტამბა გახსნა ქ. რომს 1626 წ.

1627. წ. ახლად გახსნილს სტამბაში, პირველად გამოიცა ქართული წიგნი, ქართულ-ლათინური ანბანით პატარა „ლოცვის წიგნი“ და ქართველ კათოლიკეთათვის და ვრცელი ტომი, სახელდობრ: (ქართულ-იტალურ თათრულ ენების გრამატიკა.)

პაპის კოლეგიაში დაფუძნებულ იქმნა ქართული ენის კათედრა, სადაც ქართველეს გარდა ევროპიელებსაც ასწავლიდნენ ქართულს ენას. ამ კათედრის საშვალებით თუმცა გვიან, მოხდა წარმატებაც, რომ იტალიელთა გვარის მისიონერების შემდეგ, საქართველო გააცნეს ბავარიის, გერმანიის, პრუსიის იმპერატორისაც.

საქმე ისე მოეწყო, რომ XVII. საუკუნის ნახევარს, ავსტრიის ერთს იმპერატორს, ვახტანგ მეექვემდებარი რამდენიმე მოციქულები გაუგზავნა და თან გაატანა იმპერატორისათვის ძვირფასი ჯიშის ცხენი, ძვირფასად შექმაზული, მეტად ძვირფას აღკაზმულობით. ასეთი შაგალითები სხვა დროსაც მომხდარა, და XVIII საუკუნეში მეფე ერეკლე, პრუსიის მეფეს ისე დაუახლოვდა, რომ ერთ დროს, სოლ. ლეონიძის სიტყვით, ფრიდრიხ დიდმა თავის თეთრზედ ასე დააწერა:

„ევროპაში შე ვარ უძლეველი და აღმოსავლეთში გიორგიანთ ლერკულესი უძლეველი მეფე ერეკლეო“.

შემდეგ დროს, გერმანიის მოგზაურებმა საქართველოში, მგზავრობა დაიწყეს და ამ დროდან გერმანელთა ტომის მსწავლულთა და მოგზაურთა უფრო უკეთ მოჰკიდეს ხელი საქართველოს ერის და სამეფოს ცხოვრების შესწავლას, ვიდრე ამას სწავლობდნენ იტალიელნი და რომის ტახტის მისიონერები. გერმანელთა ტომის მსწავლულ მოგზაურებმა რომაელებს გადააჭარბეს.

რომაელები საქართველოს ყურადღებას აპყრობდნენ მარტო ქრისტიანების მხრით და ამის სიბრალულით, რასაც ყოველთვის თან სდევდა კათოლიკის სარწმუნოების, გავრცელების სასარგებლო ცნება ქართველებში. გერმანელ მოგზაურთა და მსწავლულთა

ცდა კი სულ სხვანაირ იქმნა დაწყობილი, მათ საჭ-  
მეთ და საგნათ გახდა არა მარტოთ საქართველოს  
სამეფოს წყობილების გაცნობა და სხ.

ექ. იაკობ რეინგეს პირველათ უცხოვრია, ავ-  
სტრიაში, იქიდამ გრაფ კოგანის რჩევით ავსტრიის  
მთავრობას სპარსეთის ელჩათ დაუნიშნია, პ. კარბე-  
ლაშვილის სიტყვით, ექიმი რეინგესი ავსტრიიდამ  
სპარსეთში გრაფ კოგანს დაუბინავებია ქ. თეირანში.  
რეინგესი სპარსეთის ყაენმა პატივისცემით მიიღო.

რეინგესმა მალე მიიპყრო ყურადღება სპარსე-  
თის ყაენისა და სპარსეთის სახელმწიფო პირთაგან,  
მაშინდელ სპარსელ დიდს კაცებთა რიცხვში, მრავ-  
ლათ ერივნენ ქართველთა დიდებულებიც, რომელ-  
ნიც ყეინის დავალებით სპარსეთში სცხოვრობდნენ,  
ზოგი ამათგანი სპარსეთის სამეფო სამსახურში რყო,  
ზოგი სამოქალაქო ნაწილში მსახურობდა და ზოგნიც  
ყეინის კარზედ სცხოვრებდა, მათ ყეინისაგან დანიშ-  
ნული ჰქონდათ ულუფა. (პენსია).

ქართველთა რიცხვი განიყოფოდა ასე: ერთი  
ნაწილი ამ ქართველთა ალიარებდა თავის სჯულს,  
ქრისტიანობას, მეორენი კათოლიკობას და მესამენი  
კი იყვნენ მავმადიანობაზე გადასულნი. სამივე ამათ  
კი ურთიერთ შორის კარგი, მტკიცე, ნაციონალური  
კავშირი ჰქონდა და პატივისცემა ყველაფრის ერთმა-  
ნეთის. ექიმა რეინგესმა სპარსეთის ყაენის დიდებუ-  
ლების გაცნობასთან გაიცნო თეირანში მყოფი ქარ-  
თველებიც.

ამ დროს, სპარსეთში და თეირანშიაც სცხოვ-  
რობდნენ რომის ტახტის მისიონერები, ძმანი ავგუს-  
ტიანელები, დომინიკიანელები, კარმილიტიანელები,  
ფრანცისკიელები და თიათინელებიც. ამათ დაახლოვე-  
ბული კავშირი ქონდათ სპარსეთის ქართველებთან.  
როგორც სჩანს, ამ მისიონერებში ზოგნი გერმანიის  
ტომისანიც უნდა რეულიყვნენ და ვფიქრობთ, რომ  
თვით რეინგესიც კათოლიკის სარწმუნოების უნდა  
ყოფილიყო, რადგან იგი სპარსეთში ცხოვრების დროს  
დაუახლოვდა კათოლიკის მისიონერებს. რეინგესმა  
ამავ მისიონერების დახმარებით გაიცნო საქართველოს  
მდგომარეობა.

რეინგესის ყურადღება უმთავრესად იმ გარე-  
მოებამ აღძრა, რომ ქართველობის ერთი ნაწილი  
ქრისტიანი იყო და მეორე მაჰმადიანი. მას საქართვე-  
ლოს შინაური გარემოებაც აინტერესებდა. მისიო-  
ნერების შორის ყოფილან საქართველოს გულშემა-  
ტკივარნიც, როგორც მისიონერი მამა ბარბარე ფე-  
დელი და მამა ბარონ ელიზბარ ბითონი. ვფიქრობთ,  
რომ ორივე ეს მისიონერები ბარბარე ფედელი და  
ბარონ ელიზბარი უნდა იყვნენ გერმანელები.

იმ დროს, როცა ეს მისიონერები მოქმედებდნენ  
რეინგესზე, გერმანიაში კარგათ იქმნა გავრცელებუ-  
ლი ტურქენდორფის მიერ საქართველოს აღწერა რუ-  
ჭით და სურათებით.

ტურქენდორფმა თავის შრომა საქართველოს შე-

სახებ გერმანიაში 1738 წ. გამოაქვეყნა და ამის მე-  
რე ამ მოგზაურის შრომას მოჰყვა ვიცენის ნაშრომნი  
და ჰოსონის, რომელთაც საქართველო კარგად ანუს-  
ხეს. ამ პირთა ანუსხვას დაეხმარა იკადემიკის ჰულ-  
დენშტეტის მოგზაურობა საქართველოში და საქარ-  
თველოს აღწერა, რომელიც ჰელდენშტეტმა. გერ-  
მანულს ენაზე პირველად დასტამბა 1769 წ.

სპარსეთში მყოფ კათოლიკე მისიონერებთაგან  
რეინგესმა დაიწყო ქართული ენის შესწავლა, მასთან  
არ ერიდებოდა ქართველთა დახმარებას და სადაც  
კი ნახავდა ქართველებს სპარსთაგან დევნილებს და  
შეწუხებულებს, იგი თავგამოდებით და აშკარად ეხმა-  
რებოდა მათ.

სპარსთა წინაშე ქართველების მფარველობას  
ყრველთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

ამ დროს, სპარსეთში, რაღაც მანქანებით, სცხოვ-  
რობდნენ რუსის სამხედრო პირნი, რომელთა შორის  
რეულან ისეთი ქართველები. რომელნიც დიდი მო-  
მხრენი ყოფილან რუსეთის მთავრობის და მასთან  
მოსურნენი მისიც, რომ ეგები საქართველოს სამეფო  
რუსეთს დროით ჩაეგდო ხელში. ასეთ პირებმა რა  
გაიცნეს რეინგესის დამოკიდებულება ქართველებთან,  
მათ დიდათ ეწყინათ. ამათ იმეცადინეს და რეინგე-  
სის ამბები დაწვრილებით შეატყობინეს გიორგიევსკ-  
ში მყოფ კავკასიის რუსის ჯარების მთავარსარდალს  
პატიომკინს. ამ ორგულებმა პატიომკინს ისიც დას-

ძინეს, რომ ოქვენ რომ რეინგესი დაიახლოვოთ, მის დახმარებით საქართველოს ძლიერ მაღე ჩაიგდებო ხელში.

მაღე რეინგესი ჩარიცხულ იქნა რუსეთის სამ-  
სახურში და დაინიშნა მეფე ერეკლეს და სოლომონ  
მეფის კარზედ კომისრად.

თბილისში მოსულ რეინგეს დახვდნენ სხვათა-  
შორის სპარსეთის ქართველები, რომელთაც დიდი  
პატივით მიიღეს.

მეფე ერეკლემ რეინგესი სამეფო სასახლის ეჭი-  
მად დანიშნა და საცხოვრებლად ბინაც თავის სასახ-  
ლეში მისცა.

რეინგესისათვის ცხად იქმნა ქართველი ერის  
გულკეთილობა, მეამიტობა, გულის სიწმინდე, უმ-  
წიკვლოდ ქრისტიანობის წამება.

ქართველი ერის ეს კეთილი მოქმედება და ლირ-  
სება იყო, რომ რეინგესმა გულში დაისახა ქართვე-  
ლი ერის ქომაგობა.

დოქტორი რეინგესი, დღე და ღამ, მუღამ მე-  
ფეს ახლდა. სოლომონ ლეონიძის - სიტყვით, რეინ-  
გესი მეფე ერეკლესთან რჩებოდა ხან ათი საათი, ხან  
თორმეტი საათიც. ლაპარაკი ჰქონდათ ხან ქართუ-  
ლად, ხან სპარსულად, საგანი ლაპარაკისა იყო სა-  
ქართველოს საქმეები და მის აღორძინების ფიქრი.  
დოქტორი რეინგესი დაწვრილებით მოუთხრობდა მე-  
ფე ერეკლეს ევროპის ერთა და სახელმწიფოთა და-

წინაურებას. მან მეფე ერეკლეს მაღე შეაყვარა თავი ისე, რომ მეფე უზიარებდა საიდუმლო ამბებსაც.

მეფემ რეინგესს თბილისის ქალაქის ზედამხედველობა მიანდო და თვალყურის ჭერა თბილისის სამართველოებზე. ამიერიდან რეინგესს მიენიჭა ისეთი უფლება, რომ თავისუფლად შეეძლო შესულიყო თბილისის მოურავის (გუბერნატორი) სამართველოებში და ყველა საქმეები გაესინჯა, ასევე შეეძლო მას გაესინჯა ქალაქის მელიქის სამართველოები და აქაც ესინჯა ქალაქის მართვა-გამგეობის საქმენი. ასეთმა მინდობილებამ რეინგესი დიდად აღაფრტოვანა.

რეინგესმა გერმანულიდან ქართულად სთარგმნა საქალაქო წესების მართვა-გამგეობისთვის „პოლიციური წესები“ ზონენფელდისა. ამ წიგნის თარგმანში მონაწილეობას იღებდა თვით მეფე ერეკლეც. ეს წიგნი რეინგეს სპარსულს ენაზედაც უთარგმნია იქ ყოფნის დროს. ამ წიგნის თარგანის მიზეზი ის იყო თურმე, რომ მეფე ერეკლეს ამ წიგნის წესდებით ჰსურვებია თბილისის მართვა-გამგეობის მოწყობა.

მანვე მეფის სასახლეში აირჩია დარბაზი და გახსნა „საბატონიშვილო სკოლა“, სადაც შეკრებილი ქმნენ მხოლოდ ბატონიშვილები. ამ სკოლის მასწავლებლად იყვნენ თბილელი პატივები და თვით რეინგესიც. ამ სასწავლებელში პირველად იქმნა შემოღებული ფრანგული, გერმანული და ლათინური ენის სწავლება. გერმანულს ასწავლიდა თვით, რით-

გესი და და ფრანგულს, ოტალიურს და ლათინურს  
ფრანგის პატრები.

სწავლის დაწყების დროს რეინგესმა დიდად მოი-  
წონა ალექსანდრე ბატონიშვილი. რეინგესმა იგი თა-  
ვის აღუტანტად აირჩია, რაზედაც მეფემ ნება დარ-  
თო. რეინგესისათვის აღუტანტი, ანუ ხელჭვეითი  
და ქართულად მოლაპარაკე, ქალაქის მართვა-გამგე-  
ობის დროს, დიდად საჭირო იყო. ამიტომაც აირჩია  
მან უფრო ცოცხალი და მარდი ბატონიშვილი ალექ-  
სანდრე, ამას შეუკერა თავის ფორმის ტანთსაც-  
მელი და როცა რეინგესი თბილისის ქუჩებზე ცხე-  
ნით დაიარებოდა საქმეების გასაცნობად, მაშინ პა-  
ტარა ბატონიშვილიც დასდევდა ცხენზედ მჯდომარე.

ალექსანდრე ბატონიშვილი ამ რეინგესის გავ-  
ლენის ქვეშ იზრდებოდა.

სამწუხაროდ, რეინგესმა როგორც ალექსანდრე  
ბატონიშვილი გაწრთვნა, ისე სხვა ბატონიშვილებს  
ვერა სწროვნიდა უდროობით. ამ დროს რეინგესმა  
კარგათ შენიშნა, რომ თბილისში ქართველი ერი  
ექიმობის მხრით ძრიელ დაქვეითებული იყო და  
თბილისში, რომელშიაც ქალაქის მცხოვრებთა რიცხ-  
ვი ასი ათასზე მეტი იყო, აქ სულ იყო 6 ექიმი. ამი-  
ტომ რეინგესმა მეფე ერეკლეს ურჩია თბილისში საე-  
ჭიმო სკოლის გახსნა და ესეც მალე მოაწყო. ამ  
სკოლაში უმთავრესი მასწავლებელი რეინგესი იყო  
და მასთან იმ დროის თბილისის ქართველ კათო-

ლიკეთა პატრები. მათ იმეცადინეს და მთელი საექიმო სკოლა კათოლიკეთა მრავალ შვილებით გაავსეს. ამიტომ ამ სკოლის საშვალებით ქართველ კათოლიკებში მოიფინა ექიმობის ცოდნა მაგ. ობილისის ქართველ კათოლიკეთა ექიმები: ანტონ და თათულა ყარაშვილები ამ სკოლიდან არიან, ბოლოს ისინი იყვნენ მეფე გიორგის კარის ექიმები. ამ სკოლის საშვალებით ქალებიც კი სწავლობდენ ექიმობას, მაგ. ქართველ კათოლიკეთა ქალი ანნა ისარლოვისა, რომელიც ბოლოს დროს იმერეთში სცხოვრებდა და იქ სოლომონ იმერთა მეფის ექიმად იყო დანიშნული. რეინგესმა ქართველებს ამ სკოლის განსით დიდი სიკეთუ მოუტანა.

რეინგესის დახმარებით გაფართოვებულ იქმნა მორიგი ჯარის რიცხვი. ეს მორიგი ჯარი, საქართველოში პირველით შემოიღო და დაარსა მეფე ერეკლეს შვილმა ლევანმა, რომელიც მერე მოწამლეს.

გაფართოვებულ იქმნა მორიგ ჯარისკაცთათვის სადგომი ბინა. მორიგ ჯარს დაენიშნათ ვადა სამსახურისა და მასთან გერმანულად ულუფა, ჯამავირი და დახმარება.

რეინგესისავე რჩევით მეფე ერეკლეს ბრძანებით და სამეფოს ხარჯით გახსნილ იქმნა არტილერიის სასწავლებელი, სადაც მასწავლებლებათ იქმნენ დანიშნული სულ ქართველი სამხედრო პირები, რომელთაც სამხედრო სწავლა ევროპაში პქონდათ მოღებული.

განზრახულ იქმნა თოფის წამლის უკეთესათ  
ოსტატობა, რაც რეინგესმა ასწავლა ამის ხელოსნებს.

გახსნილ იქმნა ფოფის წამლის საფქვავი წისქვი-  
ლი, საღაც თოფის წამალს უკეთესათ ფქვამდენ.

მეფე ერელკეს ბრძანებით შეკრებილი იქმნა  
თბილისში ოქროსი და ვერცხლის ჩამომსხმელი ხე-  
ლოსანთა რიცხვი, რომელთაც ოდესმე ახტალის  
ჭარხანაში ემუშავნათ. რეინგესმა ამ ხელოსნებს ას-  
წავლა ოქროსი და ვერცხლის უკეთ გასუფთავება  
და დაწმენდა.

მეფე ერეკლემ რეინგესისავე რჩევით ჩამოსხმე-  
ვინა თბილისში ოქროს ფული. ოქროს გამოხდაც  
გამრავლეს.

გაფართოვდა თბილისის ზარაფხანაც. (ანჩისხატის  
ეკლესიის ცოტა ჭვემოდ, აწინდელის კათოლი-  
კოსის სახლის უკან, მტკვრის ნაპირას, ამ ზარაფხანის  
შენობის ნაწილმა ჩვენს დრომდისაც მოაღწია, იგი  
დღესაც მთელია. რუსეთის შემოსვლის შემდეგაც ამ  
ზარაფხანაში იჭრებოდა ჭართული ფული. აქ ჭარ-  
თული ფულის მოჭრა მოისპო 1832 წ. ამის შემდ-  
გომ ამ ზარაფხანაში ასხავდენ წმინდა სანთელს, დღეს  
ესეც გაუქმდა, ეხლა ეს ძველი ზარაფხანის სახლი  
ცარიელია და მთლათკი სდგას.

რეინგესმა ჭართველებს შენიშნა სხვაც ბევრი  
რამ ნაკლი. უფრო სავაჭრო და სახელოსნო, აშიტომ  
მან მიწერ-მოწერა გამართა ავსტრიაში, პოლონეთში,

გერმანიაში, იქაურ ხელოსნებს ურჩევდა საქართველოში ჩამოსახლებას და თავიანთ სახელოსნო და სავაჭროების დახსნას და გავრცელებას. ამისათვის მეფე ერეკლეც დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა.

მართლაც და რეინგესის ორჩევით თბილისში მოვიდნენ ავსტრიელ, გერმანელ, და პოლონელთ ხელოსნები, რომელთაც საქართველოში ბევრი რამ შემოიტანეს. მაგალითად ჩამოვიდა გერმანელი მესათე, გოტფრიდი. ეს მესათე მეფემ პატივის ცემით შიიღო; დანიშნა თავის სასახლის და სახელმწიფო მესათეთ. ამავე მესათემ თბილისში, ავლაბრის მეორე ხიდის გვერდით, გახსნა საათის მაღაზია და ქარხანა, სადაც გოტფრიდი ასწავლიდა საათის კეთებას და მის აღებ-მიცემის ოსტატობას ქართველთ შვილებს.

ეს მესათე გოტფრიდი თავის მაღაზით რუსების მოსვლამდის დარჩა საქართველოში, ამას ჰქონდა მეფე ერეკლესაგან წელიწადში 300 მანეთი ულუფა. ქართველ აატონიშვილების რუსეთში გადასახლების შემდეგ გოტფრიდიც ევროპაში გადასახლდა.

მეორე ხელოსან გერმანელს სცოდნია ქართოფილის თესვა, პამიდორის, ანუ ოქრო-ვაშლის, წითელი ბოლოვკის თესვა-მოყვანაც რაც მაშინ ქართველებმა არ იცოდნენ.

ყოფილა ვინმე პოლონელი ფერშალი, რომელსაც თბილისში პირველათ აფთიაქი გაუხსნია, ნელნელა თბილისი ევროპიულ ქალაქს ემსგავსებოდა და

მასში ბევრი რამ ჩნდებოდა ევროპიულიც, რაც  
ყველას აძლევდა იმის საბუთს, რომ ყველა ამ საქ-  
მეების მეთაური და დამწყობი იყო გერმანელი ექიმი  
რეინგესი. ბევრს ეს გარემოება ახარებდა, ვინც კი.  
ერთგული იყო საქართველოს აღორძინების და იყვ-  
ნენ ისეთი ქართველნიც, რუსთავან შესყიდულნი,  
რომელთაც რეინგესის მეცადინეობა აბრაზებდა და  
მტრობით ამათ აღარ იცოდნენ თუ რა ექმნათ.

მათ ასტრახანში მყოფ პატიომკინს მისწერეს  
ყალბი ცნობები რეინგესზე.

ყველა ამ საქმეებს თურმე პატიომკინი შორი-  
დან შურიანის თვალით უყურებდა და ბოროტებით  
აღარ იცოდა რა ექმნა.

ეს ამბები ამ სვავმა ეკატერინასაც აცნობა და  
ბოლოს მას მიეცა ნება საქართველოდან რეინგესის  
გაძევების. იუდამ ესეც მალე მოახერხა და დოქტო-  
რი რეინგესი მიხმობილ იქმნა საქართველოდან ასტ-  
რახანში აუცილებლად. რეინგესი გაემგზავრა ასტ-  
რახანში და დროზეც წარუდგა პატიომკინს. პატიომ-  
კინმა უსაყვედურა:

ჩვენის ხელმწიფის ბრძანებით შენ მოვეცით მი-  
ნისტრობა და კომისრობა და ჩვენ შენი იმედი  
გვქონდა, რომ საქართველოს მალე ჩავიგდებდით  
ხელში. ამისთვის გეძლეოდა ჩვენი ხელმწიფის ფუ-  
ლი. შენ კი მეფე ერეკლეს კარზე ჩვენ წინააღმდეგ  
მოქმედებდი და ერეკლე მეფეს ასწავლიდი ისეთ სა-

ქმედის კეთებას, რის შემდეგაც ჩვენ იმ ქვეყნის ხელში ჩაგდება ძრიელ გავვიწირდება...

პატიომკინს რეინგესმა ასეთი პასუხი მისცა:

— მე, არ ვიცოდი, თუ ჩემი დანიშვნა საქართველოში მიტომ გინდოდათ, რომ მერე ჩემის ცდით დაღუპულიყო ეს ქვეყანა. მე რომ ეს მცოდნოდა, მაშინ მე თქვენ დავალებას არ ვიკისრებდი და არც თქვენი ფული მინდოდა.

ასეთი პასუხის გამო პატიომკინმა რეინგესი დიდათ გაეციცხა და უბრძანა, რომ აქედან შენ პეტერბურგში უნდა წახვიდე და ეკატერინეს წინაშე თავი იმართლოვო.

რამდენიმე დღის შემდეგ დოქ. რეინგესი პეტერბურგში გაემგზავრა. შემდეგ ამისა რა მოხდა ამ კაცის თავზე, ეს არავინ იცის: ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, ამის აღარაფერი გამოჩენდა. ჭკუასთან ახლოა, რომ პატიომკინის ბოროტებით რეინგესი გზაში იქმნა. მოკულული, რომ იგი პეტერბურგიდან ევროპაში არ გასულიყო და მას თან არ გაეტანა ის დასაღუპი საქმენი, რასაც რუსები ქართველებს უმზადებდნენ. ამ იაკობ რეინგესს ზოგნი ანტონათაც ასახელებენ.

ასე და ამგვარის საიდუმლოებით დაიღუპა ეს ძვირფასი ადამიანი. უეჭველია და ამას ეჭვი არ უნდა, რომ რუსეთის ბოროტის პოლიტიკის წყალობით, მეთვრამეტე საუკუნეში, ვიდრე რუსეთი საქარ-

თველოს ხელში ჩაიგდებდა, მათ ბევრი გულშემა-  
ტკივარი და საქართველოს ერთგული კაცები ეყო-  
ლებათ ასე მოსპობილი. ამას გვიკარნახებს დოქტორ  
რეინგესის დაღუპვის საქმე.

დოქტორ რეინგესის შემდეგ მეფე ერეკლეს და  
მეფე სოლომონის კარზე მინისტრად და კომისრად  
დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი სტეფანე დანიელისძე  
ბურნაშვილი.

ამ ბოლოს ხანს, თფილისში გამოიცა ერთი  
რუსული წიგნი, პატივცემულის პროფესორის ჯავა-  
ხიშვილის, რომელმაც პირველად დაასახელა თავის  
პატიოსან შრომაში რეინგესი, ეს პირველი მაგალი-  
თია.

ამ წერილის დედანი მე წამართვეს 1882 წ.  
ეხლა აღვადგინე ისე, როგორც მომავლნდა, შემოკ-  
ლებით.

1920 წ.

ჭ. ჭ.

